წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 117 სამშაბათი, 17 დეკემბერი, 1918 წ. № 117



ეროვნული ბიბლიოთეკა



მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

## ქართული ლატარია

მოქალაქენო! ნუ აგვიანებთ ბილეთების შეძენას.

1168 3—2

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

სამშაბათს, დეკემბრის 17 საბანეევას, ზალიპსკის, ნიკოლსკის მონაწილეობით

### გოფმანის ზღაპრები.

ხუთშაბათს, დეკემბრის 19 პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დღეს—საბანეევას, ზალიპსკის, ვრონსკის, ნიკოლსკის და დემიანენკოს მონაწილეობით „ტრავიატა.“ კვირას, დეკემბრის 22 ალეშკოს, ზალიპსკის, ნიკოლსკის მონაწილეობით „ალი.“ გამგე ს. ი. ევლახოვი.

1169 1—1.


## ოფიციალური განყოფილება

### ბძანებულებანი

**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ქ. ტფილისის და მის მიდამოების გენერალ-გუბერნატორის მმართველობისა.**

3 დეკემბერი, 1918 წ.

№ 4.

დანიშნულ იქმნა: ანასტასია გვერდწითელი, რემინგტონზედ მომუშავედ ჩემ კანცელარიაში, ამა წლის 15 ნოემბერს 1918 წ.

3 დეკემბერი, 1918 წ.

№ 5.

დანიშნულ იქმნა: ნიკოლოზ რაჟდენის ძე ჯანდიერი ჩემ კანცელარიის მოხელეთ ამა წლის 23 ნოემბრიდან 1918 წ.

გენერალ-მაიორი მაზნიაშვილი.

**საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.**

3 დეკემბერი, 1918 წ.

№ 96.

მოწვეულია: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს იურისკონსულად ნაფიცი ვექილი ს. დ. ჯაფარიძე, თვიურად 500 მან. ჯამაგირით 1 ნოემბრიდან.

6 დეკემბერი, 1918 წ.

№ 98.

დანიშნულ იქმნენ: ყოფილ ქუთაისის სახაზინო პალატის განყოფილების უფროსი გიორგი კონსტანტინეს ძე შოთაძე ფინანსთა სამინისტროს ვიცედირექტორად ამა წლის 1 დეკემბრიდან.

6 დეკემბერი, 1918 წ.

№ 99.

დამტკიცებულია: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის საერთო განყოფილების უფროსის მოვალეობის დროებით აღმასრულებელი ივანე პოლუმორდვინოვი ამავე განყოფილების უფროსად 1 დეკემბრიდან 1918 წ.

7 დეკემბერი, 1918 წ.

№ 100.

დანიშნულია: ბონების დამზადებელ ექსპედიციის გამგეთ ვასილი მარკოზის ძე კევლიშვილი ამა წლის 1 ნოემბრიდან.

10 დეკემბერი, 1918 წ.

№ 104.

დაშვებულ იქმნეს: სამთო სამმართველოს უფროსის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ივანე ყიფშიძე ამა წლის 22 ნოემბრიდან.

10 დეკემბერი, 1918 წ.

№ 105.

დანიშნულ იქმნეს: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებულ სალიკვიდაციო განყოფილების საქმის მწარმოებელი გიორგი ესტატეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი იმავე სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსის თანაშემწედ ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

6 დეკემბერი 1918 წ.

№ 101.

§ 1.

თანახმად 25 ოქტომბრის კანონისა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის 16 ნოემბრის დადგენილებისა ცხადდება სამინისტროს სავაჭრო-სამრეწველო ნაწილის მოსამსახურეთა საბოლოო სია 6 დეკემბრისთვის 1918 წ.

§ 2.

სამინისტროს სამრეწველო განყოფილების უფროსი, ინჟენერი მიხეილ მიხეილის ძე ბრაილოვსკი დროებით თავისუფლდება თავის თანამდებობისაგან და ევალება სამინისტროს განსაკუთრებულ მინდობილობის ინჟენერის ვალდებულება 6 დეკემბრიდან 1918 წ.

სამრეწველო განყოფილების მომარაგების მცირე განყოფილების გამგე ინჟენერი ეპიფანე ნესტორის ძე ალშიბაია ინიშნება სამრეწველო განყოფილების უფროსის დროებით თანამდებობის აღმასრულებლად 6 დეკემბრიდან 1918 წ.

სამრეწველო განყოფილების მომარაგების მცირე განყოფილების საქმის მწარმოებელი მარიამ ივანეს ასული ანდრონიკაშვილი ინიშნება დროებით მომარაგების მცირე განყოფილების გამგის თანამდებობის აღმასრულებლად 6 დეკ. 1918 წ.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გ. ჟ უ რ უ ლ ი.

## საქართველოს მთავრობისაგან

სომხეთის ჯარი მუხანათურათ შემოესია ჩვენს საზღვრებს. დაჟლიტეს და დაატყვევეს ჩვენი სანაპირო რაზმები, დაანგრიეს რკინის გზა და შესწყვიტეს სომხეთ-საქართველოს შორის ტელეგრაფიული კავშირი.

ძმათა შორის სრულიად მოულოდნელად სისხლი დაიღვარა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თავიდანვე ცდილობდა ამიერ-კავკასიის ერთა შორის სოლიდარობის დამყარებას და ყოველ სადავო კითხვების შეთანხმებით გადაჭრას.

ამ მიზნით მან თავს იდვა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კონფერენციის მოწვევა, სადაც ისინი სხვათა შორის ხელშეკრულობას დასდებდნენ, რომლის თანახმათ ყველა სადავო კითხვები, მათ შორის საზღვრების შესახებ, შეთანხმებით უნდა გადაჭრილიყო, ხოლო თუ ეს ვერ მოხერხდებოდა, საბოლოო განაჩენი ორივე მხრისათვის სავალდებულო არბიტრაჟს უნდა გამოეტანა. ასეთია დემოკრატიულ სახელმწიფოთა დიდი ხნის მისწრაფება, აქეთკენ მიილტვიან ამ ჟამათ ყველა დემოკრატიული ქვეყნები.

სომხეთის რესპუბლიკის მთავრობამ კონფერენციაზე თავის წარმომადგენელთა გამოგზავნა არ მოისურვა და მოითხოვდა საქართველო-სომხეთის შორის სადავო კითხვების წინასწარ გადაჭრას. ჩვენ ეს წინადადებაც მივიღეთ და სომხეთ-საქართველოს წინასწარ კონფერენციის გახსნას ვუცდიდით. ამიტომაც ათ ნოემბრიდან რამოდენიმეჯერ გადადებულ იქნა ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენცია.

ჩვენ დღიდან-დღე ველოდით ერევნიდან სომხეთის წარმომადგენელთა ჩამოსვლას, მაგრამ ერევანში გაიმარჯვა სამხედრო პარტიამ, რომელიც თავიდანვე წინააღმდეგი იყო სადავო კითხვების მორიგებით გათავებისა და სომხეთის და საქართველოს დემოკრატიას თავს დაატყდა ახალი უბედურება:

9 დეკემბერს, სოფელ უზუნლიარში თავს დაესხნენ ჩვენს სანაპირო რაზმის ჯარისკაცთ, შემდეგ დაატყვევეს და გაჟლიტეს ჩვენი რაზმები კობერსა და კორინჯში. ჩვენ ვფიქრობდით, რომ საქმე გვქონდა სომხეთის შინაურ ანარქიასთან და ამიტომაც ფართო სამხედრო მოქმედება არ დაგვიწყია. მხოლოდ რამოდენიმე დღის შემდეგ გამოირკვა, რომ ამ ოპერაციებს სომხეთის ჯარის ოფიცრები მეთაურობენ.

მიუხედავათ ამისა ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს იყო უპასუხისმგებლო ჯგუფის დანაშაული, ვინაიდან დაუჯერებლათ მიგვაჩნდა მეზობელი რესპუბლიკის მიერ ორივე ქვეყნის დემოკრატიისათვის ასეთი საბედისწერო ნაბიჯების გადადგმა. ასეთ რწმუნებას საფუძველს აძლევდა სომხეთ-საქართველოს ორი ათასი წლის ისტორია, რომელსაც არ ახსოვს ამ ერთა შორის ომი და სისხლის ღვრა; პირიქით ისინი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი საერთო ძალ-ღონით ებრძოდნენ აღმოსავლეთის დესპოტთა ურდოებს.

ასეთი იყო საქართველოს მთავრობის შეხედულება, როცა ჩვენ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. ტიგრანიანის ხელმოწერილი ულტიმატუმი მივიღეთ, რომელშიაც ერევნის მთავრობამ სომხებით დასახლებული ბორჩალოს და ქართლის გარეშე რაიონების დაუყონებლივ დაცლა მოითხოვა.

ჯერ შემოსევა, მერე ულტიმატუმი: ნაცვლად კონფერენციისა და მორიგებისა! ომი და სისხლი!

ჩვენ მივიღეთ ყოველივე ზომები მშვიდობიანობის დასაცველად და სამხედრო მოქმედების თავიდან ასაცილებლად, და ეს მის შემდეგაც, რაც სამშობლოს დამცველ ჯარისკაცთაგან რამდენიმე ათეული მუხანათურად გაჟლიტეს და ტყვედ წაიყვანეს! და ეს იმიტომ, რომ ჩვენ გვსურდა და გვსურს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ერთად ომის საბოლოოდ მოსპობა და ხალხთა შორის სოლიდარობის განმტკიცება.

სამწუხაროდ, მეზობელ რესპუბლიკის მეთაურები ფეხქვეშ სთელავენ დემოკრატიულ საუკეთესო ტრადიციებს, ორივე სახელმწიფო ანარქიის გაძლიერებით ემუქრებიან, მათ კულტურას ძირს უთხრიან და მსოფლიო ომის დამთავრებისას ახალი ომის აჩრდილს იწვევენ.

საქართველოს მთავრობას ამ დანაშაულში არავითარი მონაწილეობა არ მიუძღვის, მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება სომხეთის მთავრობას.

მაგრამ სამხედრო მოქმედება უკვე დაიწყო.

წინასწარ დარაზმული სომხეთის ჯარები ჩვენს დაბა-სოფლებს და ქალაქებს ემუქრებიან.

რომ თავიდან ავიცდინოთ ქვეყნის აოხრება, ჩვენ აუცილებელ საჭიროებათ ვსცანით ფართო სამხედრო ზომების მიღება.

ყველა მოქალაქე, განურჩევლათ სარწმუნოება—ეროვნებისა, ვალდებულია შეასრულოს თავისი ვალი სახელმწიფოს წინაშე.

**მოქალაქენო!**

საქართველოს ხალხი მუდამ ცნობილი იყო თავის რაინდობით და მოქალაქეობრივ უფლებათა შეგნებით.

ჩვენ მივმართავთ მოქალაქეთა ამ გრძნობებს დაიმედებული, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში სამხედრო მოქმედების დროსაც-კი მტკიცეთ დაცულ იქნება ყველა მცხოვრებთა, განურჩევლათ ეროვნება სარწმუნებისა, უფლებანი.

სამხედრო მოქმედების დაწყებით ანარქიის გაჩაღებას ცდილობენ. არ წამოეგოთ ჩვენი რესპუბლიკის მტერთა ანკესზე! დაიცავით სრული სახელმწიფოებრივი წესრიგი!

დეე იცოდეს თვითოეულმა მოქალაქემ, რომ საქართველოს მთავრობა ებრძვის არა სომხის ერს, არამედ ერევნის იმ სამხედრო ჯგუფს, რომელმაც ძმათა სისხლის ღვრა გამოიწვია!

საქართველოს დემოკრატია მომხდურთ, მთელ თავის ძალ-ღონეს დაუპირდაპირებს, და ფეხქვეშ გათელილ სამართლიანობას სულ ახლო მომავალში აღადგენს და აიძულებს მოწინააღმდეგეს იცნოს დემოკრატიის მიერ წამოყენებული პრინციპი—სადაო კითხვები სახელმწიფოთა შორის გადაწყვეტილ იქმნას მშვიდობიანი მორიგებით და არა ხმლით.

# მობილიზაციის გამოცხადება

რადგანაც გარემოება მეტად სერიოზული ხდება მთავრობამ დაადგინა მოახდინოს მობილიზაცია იმ პირთა, რომელნიც დაბადებულნი არიან 1892, 1893, 1894 და 1895 წლებში.

# საქართველოს მთავრობის პროტესტი

### ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს.

„მთავრობის დავალებით მაქვს პატივი გაუწყოთ შემდეგი: ჩვენ მეზობელ და მეგობრულ განწყობილებაში მყოფ სომხეთის საზღვარზე: სანაინში და ვორონცოვკაში მდგარ ჩვენ მოსაზღვრე სადარაჯოს ათ დეკემბერს თავს დაესხა სომხეთის რეგულიარული ჯარის ნაწილები. მოსაზღვრე რაზმის ნაწილი დახოცეს, ნაწილი ტყვეთ წაიყვანეს, ტელეგრაფი შეწყვეტილია, რკინის გზის ლიანდაგი აყრილი.

საქართველოს მთავრობა ფიქრობდა, რომ ამ მუხანათურ თავდასხმასთან არავითარი კავშირი არ ექნებოდა სომხის მთავრობას და მით უმეტეს თავდასხმა არ იქნებოდა მოწყობილი მისი თანხმობით. ამის გამო საქართველოს მთავრობამ ტელეგრაფით წინადადება მისცა სომხეთის მთავრობას, რათა მას საჭირო ზომები მიეღო სისხლის ღვრის შესაწყვეტათ, მაგრამ არა თუ მიიღეს საჭირო ზომები, პირიქით სამხედრო მოქმედება განვითარდა და ჩვენ უკვე მივიღეთ სომხეთის მთავრობის ოფიციალური განცხადება, რომ ეს მუხანათური თავდასხმა სომხეთის მთავრობის ბრძანებით მოხდა. ჩვენ მიერ საზღვარზე გაგზავნილი დელეგაცია, რომელშიაც საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელნიც ერიენ, კინაღამ მსხვერპლი გახდა ამ ინციდენტისა.

უკვე ერთ თვეზე მეტია რაც საქართველოს მთავრობამ სომხეთის მთავრობას წინადადებით მიმართა მოწვეულ იქმნას ამიერ კავკასიის კონფერენცია ყველა სადავო საკითხთა მშვიდობიანი გზით გადასაჭრელათ, მაგრამ სომხეთის მთავრობამ უარი სთქვა კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე. ის დაჟინებით მოითხოვდა სომხეთ საქართველოს წინასწარ კონფერენციის მოწვევას.

საქართველოს მთავრობა დაეთანხმა სომხეთის მთავრობის სურვილს და მოითხოვა ყველა სადავო კითხვების გადაწყვეტა მომხდარიყო შეთანხმებით, ხოლო თუ შეთანხმებას ვერ მიაღწევდენ, სადაო საკითხი გადაწყვეტილიყო საერთაშორისო არბიტრაჟის საშუალებით.

დღე და დღე მოველოდით სომხეთის დელეგატების მოსვლას, მაგრამ ისინი უკანასკნელ დრომდე არსად გამოჩენილან. ამის მაგივრათ კი მოხდა მუხანათური თავდასხმა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობის ნორმებს სრულებით არ ეთანხმება.

ყველა ზემოხსენებულის ძალით აღვიარებთ, რომ ორივე მეზობელ რესპუბლიკათა შორის სისხლის ღვრის ასაცილებლათ ყოველგვარი ზომები ჩვენის მხრით მიღებულ იქმნა, საქართველოს მთავრობა თავის მოვალეობათ სთვლის მთელი ქვეყნის წინაშე აღიაროს, რომ, აცხადებს რა ენერგიულ პროტესტს სომხეთის მთავრობის მოქმედების გამო, ის თავიდან იშორებს ორ მოძმე ხალხთა შორის სისხლის ღვრის დამღუპველ შედეგთა პასუხის-მგებლობას. ამ ხალხთა მშვიდობიანი ურთიერთ შორის განწყობილება, რომელიც უზრუნველყოფს ორივე ქვეყნის აყვავებას, საუკუნოების განმავლობაში არას დროს არ დარღვეულა და ამ უკანასკნელ გამოსვლის პასუხისმგებლობა მთელი თავის სიმძიმით ეკისრება სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას. საგარეო საქმეთა მინისტრი გ ე გ ე ჭ კ ო რ ი.

# საქართველოს და სომხეთის შორის დიპლომატიური ურთიერთობა.

გამოქვეყნებულ დოკუმენტებს მიზნად აქვთ გამოარკვიონ საქართველოს მთავრობის შეხედულება ამიერ-კავკასიისა და ქართულ-სომხურ კონფერენციაზე და აგრეთვე ის ზომები, რომლებიც მიიღო საქართველოს მთავრობამ, რათა ეს კონფერენცია შესდგეს და ყველა სადავო საკითხები გარჩეულ იქნას შეთანხმების და არბიტრაჟის ნიადაგზე. ესევე დოკუმენტები ნათელ ყოფენ 9 დეკემბერს მომხდარ ამბებს, როცა სომეხთა ჯარი თავს დაესხა ჩვენს მოსაზღვრე ჯარს.

დეპეშა მიღებული ერევნიდან ნოემბრის 13—№ 23. ტფილისი, მთავრობის თავმჯდომარეს.

„გაცნობებთ იმ ნოტის ტექსტს, რომელიც დღეს მივიღე სომხეთის გარეშე საქმეთა მინისტრისაგან. დეპეშა გამოსთქვამს სომხეთის მთავრობის შეხედულებას იმ კონფერენციაზე, რომელიც ჩვენმა მთავრობამ უნდა მოიწვიოს:

„კონფერენციის მოწვევას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლებისაგან, სადავო საკითხების გასარჩევად, მთავრობა პრინციპიალურად სასურველად სცნობს და აუცილებლად მიაჩნია შეუდგეს მოლაპარაკებას საქართველოს მთავრობასთან, რათა შეთანმხდნენ კონფერენციაზე მუშაობის პროგრამის შესადგენად და დანიშნონ აგრეთვე დრო და ადგილი განზრახულ კონფერენციისთვის. რაც შეეხება საკითხს სახელმწიფო (გამოტოვებულია) სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკათა შორის, უნდა გადაწყდეს შეთანხმებით ორივე მხრით კონფერენციის მოწვევამდე“.

ნოტას ხელს აწერს გარეშე საქმეთა მინისტრი ტიგრანიანი. მდივანი.

დეპეშა მიღებული ნოემბრის 14. № 4874. ერევანი. საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს მდივანს: „გთხოვთ გადასცეთ სომხის მთავრობას, რომ საქართველოს მთავრობა გაეცნო მის პასუხს და სთხოვს სომხის მთავრობას გამოგზავნოს ამ მიზნისათვის თავისი წარმომადგენლები მოკლე ხანში.

გარეშე საქმეთა მინისტრი გ ე გ ე ჭ კ ო რ ი.

დეპეშა ერევნიდან ნოემბრის 1 № 98.“ გარეშე საქმეთა მინისტრ ტიგრანიანთან პირადი მოლაპარაკებით, მე დავრწმუნდი, რომ ის პრინციპიალურად შესაძლებლად სცნობს სომხეთის წარმომადგენლების კონფერენციაში მონაწილეობის მიღებას საზღვრების საკითხის გადაწყვეტამდეც, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი საკითხი გადაწყვეტილი იყოს არა საერთო კონფერენციაზე, არამედ შეთანხმებით. ასეთ განცხადებას სომხეთის მთავრობისას ჩვენ მხარი უნდა დაუჭიროთ.

მ დ ი ვ ა ნ ი.

დეპეშა, 12 ნოემბერი ამა წლისა.

ე რ ე ვ ა ნ ი. საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს მდივანს.

„ჩვენი კონფერენცია გადაიდო 30 რიცხვისთვის. აი ის, რაც კი შემეძლო გამეკეთებინა. ამ დროისთვის გელით თქვენ და სომეხთა დელეგატებს.“ საგარეო საქმეთა მინისტრი გ ე გ ე ჭ კ ო რ ი.

დეპეშა. 2 დეკემბერს ამა წლისა. ერევანი. საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს მდივანს. „კონფერენცია გადიდო. სომხეთის მთავრობამ რატომ არ გამოგზავნა დელეგატები. მე მოსახერხებლად მიმაჩნდა წინასწარი მოლაპარაკება გამემართა სომხებთან, მაგრამ თუ მათ მხრივ არ იქნება გამოთქმული სურვილი ამ მხრივ ეს იდეია დიდი ხნით დარჩება შემარცხვენელათ. საგარეო საქმეთა მინისტრი გ ე გ ე ჭ კ ო რ ი.

დეპეშა 5 დეკემბერს ერევნიდან № 73. მიღებულია ტფილისში 6 დეკემბერს: „საგარეო საქმეთა მინისტრს გეგეჭკორს. დღეს მივიღე ტიგრანიანის ნოტა შემდეგ შინაარსისა: „სომხეთის მთავრობის დავალებით გთხოვთ აცნობოთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რომ მან თავი შეიკავოს ახალქალაქის მაზრაში ჯარების შეყვანაზე, ვიდრე მშვიდობიანათ არ გადაწყდება ხსენებულ ნაწილის საკითხი..

მ დ ი ვ ა ნ ი.

ე რ ე ვ ა ნ ი. საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს მდივანს: „თქვენი დეპეშების საპასუხოთ, გატყობინებთ: ახალქალაქი დაიკავეს ჩვენმა ჯარებმა 5 დეკემბერს, დილით 10 საათზე. ჩვენი მთავრობის ასეთი ნაბიჯი გამოწვეულია ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებით, რომელნიც დაუსრულებელ ძალადობას განიცდიდენ, როგორც ჯერ კიდევ მაზრაში დარჩენილ ოსმალთა ჯარის ნაწილებისაგან, ისე უპასუხისმგებლო პირთაგან და შეიარაღებულ ბრბოებისაგან.

საქართველოს მთავრობამ თავის მოვალეობათ აღიარა პირველ შეძლებისათანავე ბოლო მოეღო ამგვარ მდგომარეობისათვის, რადგან ის ფიქრობდა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ახალქალაქის მაზრის დაჭერა, არც ისტორიულ, არც პოლიტიკურ და არც ზნეობრივ დამოკიდებულების მხრივ გავლენას არ მოახდენდა ჩვენს მოლაპარაკებაზე ტერიტორიალური განზრახვის შესახებ, რომლითაც ჩვენ უნდა მიგვეღწია ამ საკითხში—ურთიერთ შეთანხმება იმ პირობებში, რომელიც ორივე მხარესათვის იქნებოდა მისაღები.

საგარეო საქმეთა მინისტრი გ ე გ ე ჭ კ ო რ ი. № 5447. 7 დეკემბერი 1918 წ. (შენიშვნა: ვინაიდან კავშირი ერევანთან არ იყო, ეს დეპეშა დაგვიანებით წავიდა).

ე რ ე ვ ა ნ შ ი, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს მდივანს.

„დეპეშის № 5447. დამატებით გაუწყებთ: ეხლა მივიღეთ სამხედრო სამინისტროსაგან ცნობა, რომ სანაინთან გაჩნდენ სომეხთა მეოთხე მსროლელ პოლკის ნაწილები პოლკოვნიკ ტერ-ნიკოგოსოვის მეთაურობით, რომელნიც აღელვებენ ადგილობრივ მცხოვრებთ, ჰქმნიან გაუგებრობას, რომელიც დღეს სადგურ სანაინისთვის სროლის ატეხაში გადავიდა.

ახალქალაქიდან სამხედრო სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ სოფელ ბოგდანოვკაში აღმოაჩინეს სომეხთა ესკადრონი. გაუწყებთ რა ამას, გთხოვთ გადასდგათ ნაბიჯი, რომელიც გარანტიას მოგვცემს ასეთ არა სასურველ ინციდენტებისაგან. ვიმეორებ, ახალქალაქის მაზრის დაჭერა სრულიადაც არ არყევს იმ საფუძველს, რომელიც საძირკვლათ უნდა დაედოს ურთიერთშორის შეთანხმებას. ამის შესახებ თქვენ შეგიძლიათ გარკვევით დაარწმუნოთ ის. საგარეო საქმეთა მინისტრი გ ე გ ე ჭ კ ო რ ი № 54, 97. დეკემბრის 9, წელი 1918. (შ ე ნ ი შ ვ ნ ა: რადგან ერევანთან პირდაპირი კავშირი არ იყო, ეს დეპეშა დაგვიანებით წავიდა).

ე რ ე ვ ა ნ ი. საქართველოს დიპლ. წარმომადგენელს მდივანს: „სამხედრო სამინისტრომ მიიღო ცნობა, რომ სანაინის რაიონში საქართველოს ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობს აგრეთვე სომხეთის სამხ. ნაწილებიც ӧ მათ გამოსვლებს სავსებით ორგანიზაციული ხასიათი აქვს. ყველა პუნქტზე სანაინთან არსებობს სამხედრო შტაბები, რომელსაც სათავეში უდგანან სომხეთის რესპუბლიკის აფიცრები და ობერ-ოფიცრები. ჩვენ ერთი წუთითაც არ ვფიქრობთ, რომ ყველაფერი ეს სომხეთის მთავრობის ბრძანებით ხდება. ცუდი შედეგის ასაცდენათ, რომელსაც შეუძლია ფართო ხასიათი მიიღოს და სამწუხარო ინციდენტი გამოიწვიოს, რომლის მსხვერპლი უკვე გახდა რამოდენიმე ათეული ქართველი ჯარისკაცი და აფიცერი. გთხოვთ მიიღოთ ზომები, რათა სომხეთის მთავრობამ გავლენა იქონიოს სამხედრო ნაწილებზე და პირებზე, რომლებიც თავისი უპასუხისმგებლო და ავაზაკურ მოქმედებით ამ ორ რესპუბლიკათა შორის ძმურ დამოკიდებულობას არღვევენ. საგარეო საქმეთა მინისტრი გ ე გ ე ჭ კ ო რ ი. 13 დეკემბერი 1918 წელი № 5572.

რადიოტელეგრამა ერევნიდან. დეკემბრის 11-ს გაეგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს. ასლი სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს. გადმოგცემთ დეპეშას, რომელიც სასწრაფოდ იყო გამოგზავნილი, მაგრამ არ იქმნა მიღებული შეწყვეტის გამო.

კარაკლისი, ლორის რაზმის უფროსი იტყობინება, რომ ზალარცი ეს მეორე დღეა ქართველთა საარტილერიო ӧ ტყვიისმფრქვეველთა ცეცხლშია გახვეული, რომ მათი ჯარი არბევს ლორის ჩრდილოეთით მდებარე სომხების სოფლებს. სომხეთის მთავრობა დაბეჯითებით პროტესტს აცხადებს ქართულ ჯარების იმ უწესოებათა შესახებ, რომელსაც ისინი იმ რაიონში სჩადიან და რომელიც შედის სომხეთის ტერიტორიაში და რომელიც ქართველების ჯარებმა ძალით დაიჭირეს. თუ თქვენ არ... (გამოტოვებულია) დაუყონებლივ ზომებს ამის შესაწყვეტად, სომხეთის მთავთობა იხსნის ყოველივე პასუხისმგებლობას მოყოლილ შედეგებზე.

სომხეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ტ ი გ რ ა ნ ი ა ნ ი.

ე რ ე ვ ა ნ ი, სომხის შინაგან საქმეთა მინისტრს, პირი საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ერთხელ კიდევ იმეორებს თავის გულწრფელ მისწრაფებას ყველა სადაო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრის შესახებ. მაგრამ ეს სადავო საკითხები ჯერ ამ გზით არ გადაჭრილა. საქართველოს მთავრობას შეუძლებლად მიაჩნია გარეშე ძალების ჩარევა თავის შინაურ საქმეებში. რაც შეეხება კარაკლის-ლორის რაზმის უფროსის მოხსენებას საქართველოს მთავრობა კატეგორიულად აცხადებს, რომ ის სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. ცხრა დეკემბრიდან დღემდე ზოგიერთი სომხის ჯარის ნაწილები სომხეთის შტაბისა და ობერ-ოფიცრების მეთაურობით სწყვეტენ საქართველოს სანაპირო რაზმს. მსხვერპლი ბევრია. სისხლის ღვრის შესაწყვეტად 11 ნოემბერს ჩვენ გავაგზავნეთ სანაინში დელეგაცია, რომელშიაც შედიოდნენ აგრეთვე სამი წევრი სომეხთა ეროვნულ საბჭოსი. საქართველოს მთავრობა გადაჭრილად ამბობს, რომ მხოლოდ 13 დეკემბერს 12 საათზე აუტეხეთ სროლა სიმაღლეებს. ორ მეზობელ ერთა შორის მშვიდობიანობის ჩამოვარდნისათვის საქართველოს მთავრობა დაბეჯითებით მოითხოვს ყოველგვარ ზომების მიღებას სისხლის ღვრის შესაწყვეტად და დასჯას იმ უპასუხისმგებლო პირებისას, რომლებიც მიზეზი არიან ამ სამწუხარო ამბებისა. თავის მხრივ საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ დაუყონებლივ იქნება, გაცემული ბრძანება სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ, თუ შეწყვეტილი იქნება სროლა მაღლობებიდან საქართველოს სამხედრო ნაწილების წინააღდეგ.

წინააღმდევ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა ზნეობრივათ მართალი იქნება მოიხსნას ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოსალოდნელ შედეგების გამო.

გარეშე საქმეთა მინისტრი გ ე გ ე ჭ კ ო რ ი. № 5599.

ე რ ე ვ ა ნ ი. რადიო-ტელეგრამა, 14 დეკემბერი. შინაგან საქმეთა მინისტრს. პირი სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს.

ეხლა მივიღეთ თქვენი რადიო-ტელეგრამა 5599 თარიღით, 9 დეკემბრს გამოგზავნილ ჩემი დეპეშის საპასუხოთ. მოგახსენებთ, რომ 10 დეკემბერს ჩვენმა მთავრობას ორი დეპეშა გამოუგზავნა თქვენს მთავრობას საქართველოს სამხედრო ძალების გაყვანის შესახებ ზაქათალის და ბორჩალოს მაზრების იმ ნაწილებიდან, რომლებიც სომხებითაა დასახლებული; ეს იყო ერთდად-ერთი საშუალება სამხედრო მოქმედების თავიდან ასაცილებლად. ეს წინადადება არ ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკინ შინაურ საქმეებში ჩარევას. მასთან ერთათ, არა ერთხელ განვაცხადეთ, რომ ის ნაწილები არ შედის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში, ის განუყოფელი ნაწილია სომხეთისა, რომელიც ძალით დაიჭირეს საქართველოს ჯარის ნაწილებმა. სომხეთის მთავრობა დროებით ურიგდებოდა ამ გარემოებას იმ იმედით, რომ საქართველოს მთავრობა ხელს აიღებდა აგრესიულ მიზნებზე, რომელიც მიმართულია ადგილობრივ მცხოვრებთა წინააღმდეგ, რომელთაც არ სურთ საქართველოსთან შეერთება. მიუხედავათ ამისა საქართველოს მთავრობა არამც თუ გამოეხმაურა ჩვენს წინადადებას საზღვრების ნათლად გამორკვევის შესახებ, პირიქით სხვისი ტერიტორიის მისაკუთვნებლათ გაილაშქრა მშვიდობიან მცხოვრებთა წინააღმდეგ, რასაც შედეგათ მოჰყვა სისხლის ღვრა და აწიოკება სომხების სოფლებისა. მთავრობას არ შეუძლიან გულ გრილად უყუროს ამას, როგორ მეზობელ სახელმწიფოს ჯარები უწესოებას ახდენენ იმ ტერიტორიაზე, რომელიც ეკუთნის სომხეთს და ხვრეტენ სომხეთის მოქალაქეთ. ჩემს მთავრობას სულით და გულით უნდა წინააღუდგეს საქმის გართულებას, დარწმუნებულია, რომ თქვენი მთავრობა პატივს ცემს მცხოვრებთა სურვილებს, სომხეთის უფლებებს, და ამიტომ საკუთარი ინიციატივით დაუყონებლივ წაიყვანს თავის ჯარს და მისცემს საშუალებას თქვენს დელეგაციას შეგვითანხმდეს ჩვენ, აღადგენს ტელეგრაფს და ამით განამტკიცებს მშვიდობიანობას ორ მეზობელ ერთა შორის;

შინაგან საქმეთა მინისტრი ტ ი გ რ ა ნ ი ა ნ ი.

ე რ ე ვ ა ნ ი. გარეშე საქმეთა მინისტრს. პირი საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს: „ჩვენ მივიღეთ თქვენგან მხოლოდ ერთი დეპეშა № 6913, სხვა საქართველოს მთავრობას არ მიუღია. ჩემი მთავრობა სცდილობდა, რომ ყველა სადაო საკითხები შეთანხმებით გადაწყვეტილიყო. ის იწვევდა სომხეთის წარმომადგენლებს ამიერ კავკასიის კონფერენციაზე. როცა ეს შეუძლებელი შეიქნა, საქართველოს მთავრობამ შეატყობინა სომხეთის მთავრობას, რომ ჩვენ თანახმა ვართ ვაწარმოვოთ წინასწარი მოლაპარაკება სომხეთის წარმომადგენლებთნ ყველა სადაო საკითხების შესახებ. და თუ ჩვენი დელეგატები აშდენხანს ერთმანეთს არ შეხვდნენ, ამაში საქართველოს მთავრობა დამნაშავე არ არის. საქართველოს მთავრობა მთელი ქვეყნის წინაშე აშკარათ აცხადებს, რომ ყოველ გვარი მეცადინეობა მისი, რათა ძმათა შორის სისხლის ღვრა შეეწყვიტა, უნაყოფო შეიქნა, სომხის მთავრობის მიერ გაუგებარ გაჭიანურების წყალობით.

ორ ხალხთა შორის შეტაკების საფრთხის წინ, რომელიც სრულიად უსაფუძვლოთ ჩათრეულია

ეროვნული ბიბლიოთეკა 26

ძმათა შორის ომში, რადგან საქართველოს მთავრობა მტკიცეთ ადიარებს, რომ არ არსებობს საკითხი, რომლის გადაწყვეტა ორ ნათესავ ხალხთა შორის არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით, საქართველოს მთავრობა კიდევ ერთხელ იძლევა წინადადებას შესწყდეს სამტრო მოქმედება, ადასტურებს 13 დეკემბრის დეპეშას № 5599 და აცხადებს, რომ არც სომხეთის სოფლებზე სროლას და არც ჩვენს გამოსვლას, რომელსაც თქვენ იხსენიებთ რადიოს დეპეშაში № 912, ჩვენის მხრით ადგილი არ ჰქონია 13 დეკემბრამდე, როცა ჩვენ იძულებული ვიყავით თავდაცვის მიზნით მიგვეღო ზომები სომხეთის ჯარის ნაწილების აგრესიულ გამოსვლების წინააღმდეგ, რომელიც 9 დეკემბერს დაიწყო.

აცხადებს რა ზემოხსენებულს, საქართველოს მთავრობა სთვლის თავის ვალად კვლავ გაიმეოროს თავისი წინადადება: რომ შეწყვეტილ იქმნეს მტრული მოქმედება, დაუბრუნდეთ ძველ პოზიცებს და მოწვეულ იქმნეს სომხურ-ქართულ კონფერენცია სადაო საკითხების შეთანხმებით გადასაწყვეტად, ხოლო თუ შეთანხმება არ მოხდა არბიტრაჟით წინააღმდეგ შემთხვევაში ორივე რესპუბლიკისათვის დამღუპველ შედეგებზე პასუხისმგებლობა დააწვება სომხეთის მთავრობას. № 5628 15 დეკემბერს. 1918 წ. საგარეო საქმეთა მინისტრი გ ე გ ე ჭ კ ო რ ი.

## შინაგან საქმეთა სამინისტროში

**საქონლის კონდრაბანდის გამო.**

ფინანსთან და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბაჟო ნაწილმა გამოუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს ვრცელი მოხსენება საკონდრაბანდო საქმის დასურათებით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. თავის მოხსენებაში საბაჟო ნაწილი აცნობებს მინისტრს, რომ საქონლის კონტრაბანდულად გატან-გამოტანამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელი არის. საბაჟო ნაწილი სთხოვს მინისტრს მიიღოს რადიკალური ზომები კონტრაბანდით საქონლის გაზიდვის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან.

**მილიციის რევიზია.**

საქართველოს რესპუბლიკის საქმეთა მართველობამ გამოუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს, იუსტიციის მინისტრის მოხსენება ქ ტფილისის მილიციის რევიზიის სასწრაფო დანიშვნის შესახებ თანახმად მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებისა.

## გზათა სამინისტროში.

**რეკვიზიციის შესახებ.**

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მდივანმა აცნობა მთავრობის თავმჯდომარეს, რომ მთავრობის თავმჯდომარემ დაინახა საჭიროდ: გზათა სამინისტომ, როდესაც შეშის რეკვიზიციას ახდენს, იხელმძღვანელოს არა წინანდელ შემუშავებულ საერთო სარეკვიზიციო ფასებით, არამედ ბაზრის მაზანდის პირობებით და ადგილობრივ ხელფასით, რომ არ დაზარალდეს ინტერესები კერძო პირებისა ერთის და მთავრობისა მეორეს მხრივ.

## შრომის სამინისტროში

**მატერიალურად დამხმარე ორგანიზაციის შექმნა.**

13 დეკემბერს შრომის სამინისტროში შრომის მინისტრის ამხანაგის გ. ერაძის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების მატერიალურ დახმარების ორგანიზაციის დაარსების შესახებ. მთავრობის მიერ ამ მიზნისათვის 2 მილიონიან ასიგნოვკის გადადების თანახმათ. თათბირზე დაესწრენ სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. თათბირის წევრებმა მოისმინეს რა თათბირის თავმჯდომარის ერაძის მოხსენება ამ საკითხის შესახებ— აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინეს შემდეგი: დაარსდეს 6 კაცისაგან შემდგარი დროებითი კომისია, რომელშიაც შევლენ წარმომადგენელნი: შრომის სამინისტროსი, ცენტრალური სასურსათო საბჭოს, კოოპერატივებისა და კავშირების, ფოსტა-ტელეგრაფის, სახელმწიფო დაწესებულებათა უფროსი და უნცროსი მოსამსახურეების—თითო თითო. კომისიის მიზანია გამოარკვიოს საქონლისა და სურსათის რაოდენობა და მათი შეძენის საქმე სახელმწიფო დაწესებულებებიდან (მომარაგების კომიტეტი, სასურსათო საბჭო და შინაგან საქმეთა სამინისტრო). სახელმწიფო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა რაოდენობის გამორკვევა და შეძენილ საქონლის და სურსათთა შეღავათიან ფასებში შობამდე დაყოფა; ამასთანავე ერთათ შემუშავდეს სახელმწიფო მოსამსახურეთათვის ცენტრალური სასურსათო ორგანიზაციის გეგმა.

## ფინანსთა სამინისტროში

**მთხოვნელთა მიღების დრო.**

მთხოვნელების მიღება და ცნობების გაცემა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში საქმის დღეებში სწარმოებს მხოლოდ 1—3 საათამდე.

## მიწათ-მოქმედების სამინისტროში

**მამულების დაცვა.**

მიწათ-მოქმედების მინისტრმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ უბრძოს განკარგულება სახელმწიფო ნაციონალურ მამულების დასაცავათ წინანდალსა, ნაფარეულსა და მუკუზანში მოსამსახურეთ და მუშებს დაუტოვონ ვინტოვკები და რევოლვერები და არ ჩამოართვან, ვინაიდან ეს მამულები ძვირფას კულტურულ მნიშვნელობას წარმოადგენენ სახელმწიფოსათვის.

## ცნობა ბათუმიდან.

ბათუმი. 15 დეკემბერს ტფილისიდან ჩამოვიდა სამშვიდობო კონფერენციაზე მიმავალი ამერიკის მისია, რომელიც ჩვენმა დელეგაციამ ინახულა. ახალციხე-ახალქალაქიდან საქართველოს ჯარის შესვლის შემდეგ გამოქცეულმა ოთხიოდე ბეგმა თავისი თავი ახალციხე-ახალქალაქის მაზრების დროებით კომისარიატად აღიარა ბათუმში. ყველა ამ მხარეში მოსახლე ეროვნებათა სახელით აპირებენ ინგლისელებს მემორანდუმი წარუდგინონ. მათ ხელმძღვანელობს ადგილოებრივი ადერბეიჯანელი ექიმი ეფენდიევი. ისინი ითხოვენ სამხრეთ კავკასიის შტაბის დაარსებას. თავისი საქმე რომ უკეთესათ დაანახონ ინგლისელებს, ცდილობენ ორიოდე წიხლი საქართველოს რესპუბლიკას უთავაზონ. შემდეგში რომელ სახელმწიფოს შეუერთდება ეს შტატი, ამაზე მემორანდუმის ავტორნი არაფერს ამბობენ.

## აზერბაიჯანის პარლამენტში

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

7 ამ თვეს აზერბაიჯანის დედა-ქალაქ ბაქოში გადჯი ზეინალ აბდინ ტაგიევის საქალო შკოლაში, ნიკოლაევის ქუჩაზე დიდი ზეიმით გაიხსნა აზერბაიჯანის პარლამენტი. თუმცა პარლამენტის გახსნის დღემ შაბათს მოუწია და ამიტომ უქმე არ იყო არც მაჰმადიანებისა და არც ქრისტიანთათვის, მაგრამ ქალაქი მაინც სადღესასწაულოდ მოემზადა. დაწესებულებები უქმობენ, მაღაზიები არ ვაჭრობენ და დაკეტილია. თვით შენობას, რომელშიაც დროებით მოთავსდა პარლამენტი, ნიკოლაევის ქუჩიდან ამშვენებს ეროვნული დროშა. შესავალი კიბეები მორთულია ძვირფასი ხალიჩებით, თვით ზალაში კი აფენია ერთი მთლიანი დიდი ხალიჩა. ზალა შედარებით არ არის დიდი, მაგრამ აღმოსავლეთის სტილი სრულიათ დაცულია მასში.

პარლამენტის გახსნის დამსწრეთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე პარლამენტის შენობას შეუძლია დატევა. ამიტომ მათ უშვებენ მხოლოდ განსაკუთრებული ბილეთებით.

ორის ნახევარზე პარლამენტი გახსნა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ მ. ა. რასულ-ზადემ, რომელმაც ვრცელი და ფრიად შინაარსიანი სიტყვით მიმართა პარლამენტის წევრთ. მ. ა. რასულ-ზადეს სიტყვა შეიცავდა დაკვირვებულ ანალიზს იმ მოვლენათა, რომელთა განვითარების პროცესის შედეგათ აღმოცენდნენ ყოფილ რუსეთის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფოები. რასულ-ზადემ აღნიშნა ისიც, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკას ვერავითარი საფრთხე ვერაფერს დააკლებს, თუ რომ მის დამოუკიდებლობის დაცვის აუცილებლობის ნიადაგზე ყველა პარტიები, თუ ჯგუფები ერთსულოვნობას გამოიჩენენ. როდესაც ის შეეხო მეზობელ სახელმწიფოებთან დამოკიდებულების საკითხს, საქართველოს შესახებ სთქვა, რომ ადერბეიჯანსა და საქართველოს შორის სუფევს ტრადიციული კეთილმეზობლური განწყობილება და არავითარ ძალას არ შეუძლიან ეს განწყობილება გააბათილოსო.

მთელი ზალა, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დგება და ხანგძლივ ავაციებს უკეთებს დიპლომატიურ ლოჟაში მყოფ საქართველოს დიპლომატიურ წარმომ. ნ. ქარცივაძეს.

რასულ ზადეს სიტყვის შემდეგ მოხდა პარლამენტის თავმჯდომარის და მისი თანაშემწის არჩევნები. თავმჯდომარედ იქნა არჩეული ალი მარდან ბეკ ტობჩიბაშევი და მის თანაშემწეთ კი გასან ბეკ აგაევი. რადგანაც ტობჩიბაშევი ამ ჟამად სტამბოლში იმყოფება, თავმჯდომარის ადგილი დაიკავა აგაევმა, რომელმაც მოკლე სიტყვით მიმართა კრებას.

პარლამენტმა შემდეგნაირად გაინაწილეს ადგილები პარლამენტში: ზალის მარცხენა მხარე დაიკავეს ჰუმეტისტებმა (სოციალ-დემოკრატებმა, მენშევიკებმა), შემდეგ შეერთებულმა სოციალისტურმა ბლოკმა, ცენტრი უჭირავს მუსავატისტებს, ცენტრთან ერთად მოთავსდნენ სხვა ეროვნებათა უმცირესობის წარმომადგენლებიც: ერთი ქართველი—ცხაკაია, ერთი პოლონელი—ვონსოვიჩი, ერთი ებრაელი—ლოფმანი, ერთი გერმანელი—კურტი და ხუთი ეგრედ წოდებული რუს-სლავიანთა კავშირის წარმომადგენელი.

მარჯვენით მოთავსდნენ იტისატისტები, რომელთაც მეთაურობს ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ექიმი კარაბეკოვი. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მემარჯვენეების მხრით ექიმმა კარაბეკოვმა შეიტანა წინადადება, რათა პირველმა სხდომამ ადერბეიჯანის პარლამენტმა ამ დიადი დღის აღსანიშნავად გამოაცხადოს სრული პოლიტიკური ამნისტია. პარლამენტმა ეს წინადადება მიიღო და მიანდო იურიდიულ კომისიას ამ საკითხის გამორკვევა.

პარლამენტში უპარტიოთა რიცხვი დიდია. პარლამენტის წევრთა საერთო რიცხვი 120. ყველაზე უფრო მრავალ-რიცხოვანი და გავლენიანი პარტია მუსავატისტების პარტიაა, ჯერჯერობით ამ პარტიას 30 წევრი ჰყავს პარლამენტში, მაგრამ ახლო მომავალში ეს რიცხვი გადიდდება, რადგანაც უპარტიო ბანაკიდან, ეჭვს გარეშეა, ბევრი მიემხრობა მას. გუმეტისტებს ჰყავთ პარლამენტში 4, სოციალისტურ ბლოკს 7, იტისატისტებს 6 წევრი. რასაკვირველია, როცა პარტიული დიფერენცია უფრო გამორკვეულ სახეს მიიღებს, მაშინ ზოგი უპარტიო წევრთაგანნი ამ სამ დასახელებულ პარტიებს მიემხრობიან. სომხებს აქვსთ დათმობილი 20 ადგილი. მართალია ჯერ-ჯერობით სომხებმა არ მიიღეს მონაწილეობა პარლამენტში, მაგრამ ეს მათი სიტყვით განზრახ მოწყობილი საბოტაჟი კი არ არის, არამედ გამოწვეულია ობიექტიური პოლიტიკური მიზეზებით. რუსებმა მიიღეს 10 ადგილი, მაგრამ ბაქოში არსებული რუსული ეროვნული კომიტეტი ორად გაიყო. ერთი ნაწილი არ სცნობს აზერბეიჯანის დამოუკიდებლობას და ამიტომ არც გზავნის თავის წარმომადგენელს აზერბეიჯანის პარლამენტში, მეორე ნაწილი კი, ვინოგრადოვის მეთაურობით თანახმაა მიიღოს მონაწილეობა საპარლამენტო საერთო მუშაობაში. ამიტომ ამ ჟამად პარლამენტში 10-ის მაგივრად მხოლოდ 5 (ხუთი) წევრია რუსების მხრივ.

მთავრობის თავმჯდომარემ ხანხოისკიმ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, სადაც მან გააცნო პარლამენტის წევრებს ის, თუ რა გააკეთა ექვსი თვის განმავლობაში მთავრობამ, რა დაბრკოლებები ეღობებოდენ მას წინ და რა იმედებს უქადის აზერბეიჯანის რესპუბლიკას მომავალში. ხანხოისკიმ თავის სიტყვის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ მთავრობა გადასცემს რა მთელ ძალა-უფლებას პარლამენტს, როგორც სახელმწიფოს ნამდვილ ბატონ-პატრონს, სამსახურიდან დგება. ახალი კაბინეტი ჯერ არ შემდგარა.

პარლამენტის პირველ კრებას დაესწრნენ: საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელნი ნ. ი. ქარცივაძე, გენერალ-მაიორ ტომსონის წარმომადგენელი პოლკოვნიკი კოკერელი, სპარსეთის გენერალური კონსული საადულ-ვიზარე, მთიელ რესპუბლიკათა მთავრობის თავმჯდომარე ჩეიმოევი და ამავე მთავრობის წარმომადგენელი აზერბეიჯანის მთავრობის წინაშე კანტემიროვი, და წარმომადგენელი ტიურკო-არაკსის მთავრობისა ალიევი *).

## სასოფლო კომისიაში.

სასოფლო კოსიისამ დაადგინა გაგზავნოს პროპაგანდისტები ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებსა და ოსმალთაგან განთავისუფლებულ ბათომის ოლქის სხვა რაიონებში ორგანიზაციების მოსაწყობათ და საერობო არჩევნებისათვის სამუშაოთ.

—

რადგან ბოლო ხანებში სოჭისა და სოხუმის ოლქებში მრავლათ გაჩნდნენ საეჭვო პირნი, რომელნიც სიტყვითა და პროკლამაციების საშუალებით პროპაგანდას ეწევიან და ხალხს აღელვებენ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, სასოფლო კომისიამ გაგზავნა ამ რაიონებში თავისი პროპაგანდისტები მავნე ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლველათ.

*) 9 ამ თვეს საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ნ. ქარცივაძემ ინახულა აზერბეიჯანის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გასან-ბეკ აგაევი და მიულოცა მას პარლამენტის გახსნა.

## მილოცვანი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს. ტფილისის ომში დასახიჩრებულთა კავშირი აღფრთოვანებით ეგებება ახალგაზრდა საქართველოს, დამოუკიდებლობის ექვსი თვის შესრულების გამო, ზიზღს და შეჩვენებას უგზავნის ყველა ჩვენ დამოუკიდებლობის მტრებს, და ფიცსა სდებს ეროვნულ დროშის წინაშე, რომ მოუშუშებელი ჭრილობის მიუხედავათ, შეებრძოლება ყველა მათ, ვინც კი გაბედავს საქართველოს სუვერენობის შებღალვას.

კავშირის გამგეობა: აბესაძე, ვ. მუსელინი, შკაბიჩ და მენალარიშვილი.

—

საქართველოს პარლამენტს. განთავისუფლებული მტარვალის ხელიდან მესხეთ-ჯავახეთი დახვდა რა დიდის ზეიმით თავის მხსნელ ქართველ ლაშქარს, ულოცავს საქართველოს მთავრობას განთავისუფლების დღეს და უსურვებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ყოფილიყოს გამტარებელი ცხოვრებაში პროგრესის და ცივილიზაციის და დამყარებული კანონიერების და მშვიდობიანობის ნიადაგზე. ვუსურვებთ ამასთანავე, რომ თავისი ლმობიერი მართვა-გამგეობით მოეგოს აგრეთვე ჩვენი ძმების, ქართველი მაჰმადიანების გულიც.

ახალციხის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ექიმი ივანე ასათიანი.

—

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს კარლო ჩხეიძეს. ქუთაისის მუშათა პროფესიონალური კავშირების ცენტრალური საბჭო სალამს უძღვნის საქართველოს პარლამენტს და დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას თავისი ექვსი თვის ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობისათვის და აცხადებს, რომ ქუთაისის მუშათა კლასი მთელი თავისი არსებით მხარს უჭერს მათ და მზათ არის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის და თავისუფლების დასაცავად.

ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ტუსკია.

—

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს რესპუბლიკის მოსამსახურე ფარმაცევტთა პირველი ყრილობა ესალმება თქვენის სახით რესპუბლიკის პარლამენტს, როგორც განმახორციელებელს კანონმდებლობითი სახით დემოკრატიის საუკეთესო იდეალებისა და უსურვებს დღეგრძელობას.

ყრილობის თავმჯდომარე ჩიჩუა.

—

სახალხო გვარდიის დღეს მთავრობის თავმჯდომარის, სამხედრო მინისტრის და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის სახელზე შემდეგი დეპეშები მოვიდა:

ს ო ჩ ი. აღფრთოვანებით მოგილოცავთ ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკის საიმედო ძალის-სახალხო გვარდიის დღესასწაულს და სახელოვან გვარდიის ყველა ნაწილებს ვუსურვებთ სამშობლოს - და დემოკრატიის სასარგებლოთ ჯანსაღობას და აყვავებას. გენერალი კონიაშვილი გენ. გედევანიშვილი, მუხრან ხოჭოლავა.

ს ო ხ უ მ ი. სალამს ვუძღვნი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელოვან დამცველს. გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. გაუმარჯოს სახალხო გვარდიას. ისიდორე რამიშვილი.

ს ო ხ უ მ ი. მუშათა სახალხო გვარდიის წლის თავზე საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სოხუმის ორგანიზაცია სალამს უძღვნის დემოკრატიულ სახელმწიფოებრივობის და ინტერნაციონალის დამცველთ და მუხლს იდრეკს დაღუპულ რევოლიუციონურ მებრძოლთა ხსოვნის წინაშე. გაუმარჯოს სახალხო გვარდიის-საყოველთაო სახალხო გვარდიის წინამორბედს მუშათა კლასის მაღალ იდეალების დაცვაში. სოხუმის ორგანიზაცია.

—

მინისტრთა თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას. თავისუფლებისათვის თავდადებულთა ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს მოგესალმებით თქვენ, დემოკრატიის გამოცდილ ბელადს, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს საქართველოს დემოკრატიის საკეთილდღეოთ. ფიცსა ვდებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ საქართველოს დემოკრატიული წყობილება. ჯავშნოსან მატარებლის № 4 სახალხო გვარდიელები.

—

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს და გვარდიის მთავარ შტაბს. ქუთაისის მაზრის სახალხო გვარდია გილოცავთ სახალხო გვარდიის ბრწყინვალე ისტორიულ დღეს. თავმჯდომარე ნინუა.

—

მთავრობის თავმჯდომარეს. სადგურ ყარაიაზის მოსამსახურენი გულწრფელათ მოგილოცავთ თქვენ, დემოკრატიის დამსახურებულ ბელადს, სახალხო გვარდიის დღესასწაულს. სადგურის უფროსი შენგელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ე რ ო ბ ა

ტფილისში დაბრუნდა მთავარი ინსტრუქტორი საქართველოში ერობის შემოღებისათვის ბ. ტიტე მარგველაშვილი, რომელსაც შემოუვლია ზუგდიდის, ლეჩხუმის და დასავლეთ საქართველოს საარჩევნო ადგილები.

— ზუგდიდის მაზრაში არჩევნები დამთავრებულა.

— რაჭაშიც არჩევნები დამთავრებულა.

-- ლეჩხუმის მაზრაში არჩევნები 15 დეკემბერსაა დანიშნული.

— მთავარი საერობო ინსტრუქტორი ბ. ტიტე მარგველაშვილი წარუდგა შინაგან საქმეთა მინისტრს და არჩევნების შედეგი მოახსენა. მინისტრმა დაავალა მას, რომ ვრცელი მოხსენება წარუდგინოს დანარჩენ მაზრებში ერობის შემოღების შესახებ. ბ. მარგველაშვილი ამ დღეებში წარუდგენს მოხსენებას.

— განსაკუთრებულ მიზნით ბ. მარგველაშვილმა საგანგებო შიკრიკით გამოითხოვა ზუგდიდიდან მთელი მასალა ერობის არჩევნების შესახე ზუგდიდის მაზრაში.

— თიანეთის მაზრაში მიღებულია ენერგიული ზომები არჩევნების დროზე მოხდენის შესახებ და საქმის სახელმძღვანელოთ ამ დღეებში მიემგზავრება თვით ბ-ნი მარგველაშვილი.

# საგანგებო რაზმის მოქმედება

საქმე—ორთაჭალის ციხეში № 1, აღმოჩენილ საგანგებო რაზმის მიერ ხვრელის გაყვანის შესახებ, (სიგძით 4 ადლი, თვით ციხის შენობაში) უკვე დამთავრდა. მთელი მასალა და საქმე დამნაშავეთა დასახელებით საგანგებო რაზმმა უკვე გადასცა საგანგებო საქმეთა გამომძიებელ ბ. ჯომარჯიძეს. დამნაშავე და პატიმრები გადაყვანილ არიან კარცერში. მიზანი, როგორც გამოირკვა პატიმართა გაქცევა ყოფილა, მხოლოდ საგანგებო რაზმს დროზე გაუგია ეს ამბავი და შესაფერი ზომები მიუღია.

—

საგანგებო რაზმმა შეიპყრო თერგის ოლქის ბოლშევიკთა საბჭოს წევრი ალექსანდრე ზუბკო რომელიც გაიგზავნა ციხეში.

—

საგანგებო რაზმმა მუხრანის ქუჩაზე მიხეილ პავლ. აბულაძის სარდაფში აღმოაჩინა გადამალული შვეიცარული ყველი, 115 ფუთი.

საგანგებო რაზმმა საბურთალოში იოსებ ეძგვერაძის ბინაზე აღმოაჩინა მრავალი გადამალული სახაზინო საქონელი, რომელიც ეკუთვნოდა მეორე ცხენოსან ასეულს ღირებულებით 40 ათასი მანეთისა. თვით დამნაშავე მიქელაძე, რომელსაც ეს საქონელი მიუთვისებია, დაიმალა.

—

საგანგებო რაზმმა შეიპყრო სერაფიონ ლომიძე, რომელიც „რაბოჩი პრავდა"-ში ათავსებდა ბოლშევიკურ წერილებს და ამ გაზეთს ავრცელებდა. იგი № 2 ციხეში გაიგზავნა.

—

საგანგებო რაზმმა შეიპყრო ბოლშევიკი სევასტი თალაქვაძე, რომელიც მთავრობის წინააღმდეგ დიდ-პროპაგანდას ეწეოდა.

—

საგანგეაო რაზმმა შეიპყრო ბოლშევიკი დავით პეშტმალჯიანცი, რომელიც მთავრობის წინაღმდეგ პროპაგანდას ეწეოდა.

—

საგანგებო რაზმმა ნიკოლოზის და პირაგოვის ქუჩებზე გრ. სალიტანის სახლში აღმოაჩინა მრავალი გადამალული საამფთიაქო მედიკამენტი, რომელიც ჩამორთმეულ იქმნა.

—

საგანგებო რაზმმა ელისაბედის ქუჩაზე ნაფიც ვექილ ვ. სევანოვის ბინაზე აღმოაჩინა 700 ცალი სახელმწიფო შინელები, რომელიც ჩამორთმეულ იქმნა.

—

საგანგებო რაზმმა ამავე შენობაში აღმოაჩინა საეჭვო ასაფეთქებელ ნივთიერებით სავსე ბოჭკა, რომელიც გაიგზავნა საინჟინერო სატეხნიკო სექციის უფროსთან გამოსაკვლევათ.

--

საგანგებო რაზმმა ავლაბარში სირაჯების აღმართზე ბურდულიანის ბინაზე აღმოაჩინა ცალი სახაზინო შინელი.

# ქ რ ო ნ ი კ ა

**დღეს საქართველოს პარლამენტის სხდომაა.**

○ რედაქციამ ადესიდან შემდეგი ცნობა მიიღო: 21 ნოემბერს ადესაში მყოფ საქართველოს საელჩომ პოდპორუჩიკ დავითაშვილთან ერთად სამშობლოში გამოისტუმრა ვორონეჟის კორპუსის იუნკრები: ლოლობერიძე დიმიტრი, ლალიძე ირაკლი, წულუკიძე ასლანი, კობახიძე არჩილი, ნაცვალოვი მიხეილ, ნოდია ალექსი, მაჭავარიანი მირიან, ბოლქვაძე გიორგი და იაშვილი ვლადიმერ. იტყობინება მუჯირი.

○ დამფუძნებელ კრების არჩევნების ცენტრალურ კომიტეტის მოსათავსებლათ გოლოვინის პროსპექტზე ყოფილ პაპოვის ჩაის მაღაზიის ბინა დაიჭირეს რეკვიზიციის წესით.

○ ხამშაბათს, 17 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, საშუალო ტეხნიკურ სასწავლებელში, დიდი მთავრის ქ., № 70, შესდგება სამთამადნო და ქიმიური სექციის კრება.

○ ოთხშაბათს, 18 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ფრეილინის ქ., № 11, ინჟ. მ. გრიგორაშვილი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ავიაცია თეორიაში და კულტურულ ცხოვრებაში".

○ საქართველოს საკათალიკოსო საბჭომ შეუძლებლად სცნო საბოლოოდ საეკლესიო კრების შეკრება და ნამეტნავად ეხლა რეფერენდუმის მოხდენა საქართველოს კათოლიკოსის არჩევნის შესახებ. ამის გამო დაეკითხა საეპარქიო საბჭოებს მიტროპოლიტ ლეონიდის ტფილელის კათოლიკოსად ურეფერენდუმოდ დანიშვნის შესახებ. ამის მოტივები ისაა, რომ მიტროპოლიტი ლეონიდი 17 სექტემბერს, 1917 წ., აგრეთვე, როგორც განსვენებული კირიონი, ამორჩეულ იქნა, მხოლოდ კირიონმა 12 კენჭით მეტი მიიღო. ამ შეკითხვის პასუხის მიღებას საეპარქიო საბჭოებისაგან კათოლიკოსის საბჭო ამ დამდეგ კვირაში მოელის.

○ 12 დეკემბერს, ვაგზლის ქუჩაზე, უცნობებმა რევოლვერით მოჰკლეს რაჯამ ოლლი მოკლულს აღმოაჩნდა 4.100 მ. ეჭვით შეიპყრეს ჰუსეინ ყული მამედ ოღლი.

○ 13 დეკემბერს, ღამით, რ. ანდრონიკაშვილის ბინიდან მოიპარეს 5.520 მანეთის ფასიანი ნივთები.

○ მილიციის უფროსის განკარგულებით ი. მირველოვი 6 თვით დააპატიმრეს ტყვიების შენახვისათვის. რ. ვართანოვი და ა. თათუზოვი, როგორც საზოგადოებრივ წესიერებისათვის მავნე პირნი—თითო თვით. მ. ალბუხოვი ქალაქის ბოძებზე ლამფების მოპარვისათვის 3 თვით დააპატიმრეს.

○ მცხეთის სადგურის უფროსიატყობინებს გზათა სამინისტროს, რომ 13 დეკემბერს, როცა საფოსტო მატარებელი № 4 იდგა ბაქანზე, პირველ კლასის ბუფეტიდან გამოსვლის დროს უცნობ ბოროტ მოქმედება სროლით კოჰკლეს ქ. დუშეთის მცხოვრები სამსონ ტატეს ძე ბიძინიშვილი, 30 წლისა.

# საექიმო - სასანიტარო საქმე

**ქალაქის საავათმყოფოს გაჭირვებული მდგომარეობა.**

ქალაქის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე საექიმო სასანატარო ინსპექტორმა მოახსენა, რა გაჭივრებულ მდგომარეობაში იმყოფება ქალაქის საავათმყოფო უშენო-უნავთობისა და ზოგიერთ მედიკამენტების უქონლობის გამო. ავათმყოფები მოთავსებულია გაუთბობ ოთახებში, საჭირო ჭამა-სმა მათ არა აქვთ, ბევრი ავათმყოფი მარტო პურით იკვებება და ხან უპუროთაც რჩება. შიმშილისა და სიცივის გარდა, ექიმებს საშუალება არა აქვთ, რომ უშველონ ავათმყოფებს წამლით, რომელიც გამოილია ქსენონის აფთიაქში, სახადით ავათმყოფი შეიძლება დავტოვოთ უპუროთ, უვანოთ, მაგრამ მის უწამლოთ დატოვება შეუძლებელია და ყიდვით კი ვერსად ვერ გვიყიდია უფულობის გამო. ამ ჟამათ ქალაქის საავათმყოფოში 800 ავათმყოფი არის მოთავსებული, მათ შორის 314 სახადიანი, რომლის რიცხვიც ყოველ დღე მატულობს. საავათმყოფოს ხარჯთ აღრიცხვის შედგენის დროს ამოდენა -ავათმყოფების რიცხვის შენახვა მხედველობაში არა ჰქონიათ და გადადებული ფული, რასაკვირველია, არა ჰყოფნის. ქალაქის გამგეობამ დაადგინა სახადით ავათმყოფობის წინააღმდეგ საექიმო-სასანიტარო ინსპექტორს დაუყონებლივ მიეცეს ქალაქის მოურავის განკარგულებით საჭირო სახარჯო ფული და მასვე მიეცეს საქართველოს ქალაქების კავშირის საწყობიდან საჭირო მედიკამენტები.

**ს ა ხ ა დ ი.**

სახადით ავათმყოფობა იზრდება. უკანასკნელ დღე და ღამეში ქალაქის ქსენონში 35 სახადიანი მიიყვანეს. ამ ჟამათ ქსენონში სულ 299 ავათმყოფია. მოცლილი საწოლი მარტო ერთი დარჩენილა, რის გამოც საავათმყოფოს უფროსი ექიმი შუამდგომლობს კიდევ ასი საწოლის მომატების შესახებ. რაც შეეხება თვით ავათმყოფების მდგომარეობას, ქსენონში იმდენი სახადით არ კვდებიან რამდენიც სახადთან ფილტვების ანთებით, რომელიც გამოწვეულია ქსენონში სიცივისაგან. ავათმყოფების მდგომარეობა ქალაქის ქსენონში სიცივის გამო ძლიერ ცუდია. სადაც ავათმყოფნი არიან მოთავსებულნი იქ—9 გრადუსი სითბოა მხოლოდ.

# ქალაქის გამგეობაში.

**იაფი პურის საკითხი.**

იაფ ფასიან პურის მომზადებელ და გამნაწილებელ კომისიას განუზრახავს პურზე ფასის მომატება 1 მან. 60 კაპ. 2 მანეთამდე. გერმანიის მისიის მიერ უკრაინიდან მოტანილ 140 ვაგონი იაფ ფასიან ხორბლიდან სულ 50 ვაგონამდე დარჩენილია დაუფქველი. იაფ პურის გამოსაცხობათ ქალაქის გამგეობამ აქ ვერ იშოვნა საკმარისი ფქვილი ანუ ხორბალი ანუ ქერი უკრაინის ხორბალში ასარევათ და რასაც აქ ყიდულობდნენ სულ ძვირათ უჯდებოდათ, რისა გამოც უკრაინის იაფმა ფქვილმა ვერ აიტანა ეს ხარჯი და გერმანელებს დიდ ზარალს აძლევდა, თუმცა მათ ხორბალი ტფილისში ჩამოტანით სულ 36 მან. უჯდათ ფუთი.

**დღიური სახარჯო.**

ქალაქის გამგეობამ დაადგინა დღიური სახარჯო ფული ქალაქის თვითმართველობის მოხელეთა, რომელიც იგზავნებიან სხვა და სხვა ალაგას საქართველოს ტერიტორიაში დავალების ასასრულებლად დაენიშნოს ერთ კატეგორიას 60 მან. და მეორე მოხელეთა კატეგორიას 75 მან. დღეში. რკინის გზის მეორე კლასის ბილეთის ფასის გარდა.


**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი**

**დრამატიული საზოგადოების**

**გამგეობის თავმჯდომარე**

ამით აცხადებსს, რომ ამა წლის 15 დეკემბერს დანიშნულია საზოგადო კრება აღნიშნული საზოგადოებისა. 1092 12—7

დიდი ხნის ნამსახური ასწავლის ბეჭდვას

**ქართულ საწერ მანქანებზე**

და ამზადებს სპეციალურად დაწესებულებებისათვის (ყველა სამსახურის ქაღალდების ფორმების შესწავლით). აქვე ასწავლიან ქართულ ენას. ლერმონტოვის ქ., № 29. 1154 8—3

სერგო გიორგობიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 484 და მოწმობა, მიცემული განჯის დეპოდან. რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1162 3—3

ივანე ბეჟანისძე ხუხუნი აცხადებს, რომ ამა წლის დეკემბრის 11-ს დაჰკარგა აღმასრულებელიფურცელი მიცემული 5 დეკემბრის № 604 პირველ რაიონის მომრიგებელ მოსამართლისაგან რაც გაბათილებულათ უნდა ჩაითვა-ლოს. 1152 3—3

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ, აგვისტოს 7 სოხუმის ოლქის სიმტკიცის სამეთა ნუსხაში მ-48 ნაწილში, 109 გვ. 1999 №-ით აღნიშნულია, ამა წლის ივლისის 25 გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც პეტროს კარაპეტის ძე ბალიანმა დაიმტკიცა ქ. გუდაუთიდან მიწის ნაჭერი № 10, ზომით 281, 25 ოთხკ საჟ. 93 მან. 377 3—3

ზაქარია მანგიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, ჯარისკაცობის მოწმობა ტრამვაიაზე ვატმანობის ბილეთი და 40 მანეთის გირაოს მოწმობა. საბუთები გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1168 1—1

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელი განყოფილების სასამართლოს ბოქაული ს. ა. კაგრამანოვი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. დეკემბრის 21, დილის 10 საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა მიხეილ და სოფიო გრუზინსკების მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს პიანინოს, შეფასებულს 1000 მან. ვაჭრობა მოხდება გრუზინსკის ბინაზე, მოსკოვის ქ. № 10.
1149 1—1

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელი განყოფილების სასამართლოს ბოქაული ს. ა. კაგრემანოვი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. დეკემბრის 23, დილის 10 საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს სიმინდის სათეს მანქანას, გუთანს, ფარცხს, ბენზინს, რკინას, სასწორს, კალას და სხვ. ქონება შეფასებულია 18688 მან. ვაჭრობა მოხდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ბინაზე, ბარიათინსკის ქ, № 5. 1150 1—1

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელი განყოფილების სასამართლოს ბოქაული ს. ა. კაგრამანოვი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. დეკემბრის 21, დილის 10 საათზე მის მიერ მოხდება საჯარო ვაჭრობა მიხეილ და სოფიო გრუზინსკების მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს სამ კედლის სარკეს, შეფასებულს 600 მან. ვაჭრობა მოხდება გრუზინსკების ბინაზე, მოსკოვის ქუჩა, № 10. 1148 1-1

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ვიქტორ ფეოკტისტის ძე გოვორუნის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გოვორუნის ქონებაზე სამ. კან. კრებ. X ტ. I ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.
1129 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ოქტომბრის 23 დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე თედოროვისა.
1125 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ივლისის 20 დადგენილებით დაამტკიცა ნატარიალური ანდერძი იაგორ გაბრიელის ძე პოპლაშვილისა.
1126 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს ბოქაული ბეზკროვნი აცხადებს, რომ 1919 წ. თებერვლის 13-ს, დილის 10 საათზე, ამავე სასამართლოში მის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ანა ხაჩატურის ასულის და ნიკოლოზ მნაცაკანის ძე გრიგორიანცების და ევა მნაცაკანის ასულის ბაჯიევის უძრავ ქონებაზე. მამული იყიდება ნატალია დავითის ასულის გეურქოვას დასაკმაყოფილებლად, რომლისაც მათ მართებთ გირავნობის მოწმობით და აღმასრულებელი ფურცლით 1500 მ. 10% და 181 მ. 60 კ. ხარჯები. ქონება მდებარეობს მე 4 უბ. ისიდორეს შესახვევში, № 4. და შეიცავს 17/28 3 სართულიან ქვის სახლსა, რომელშიაც თითოეულ სართულში არის 3 ოთახი სამზარეულოთი, წყალსადენით, მილებით, ეზოთი ზომით 38, 3 ოთხ. კვ. საჟ. ეს მამული დაგირავებულია ტფილისის საადგილ-მამულო ბანკში 3600 მ. გასაყიდი ნაწილი შეფასებულია გასაყიდათ 4000 მ. საიდანაც დაიწყება ვაჭრობა. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ფასის ერთი მეათედი საწინდარი. მამულის აწერილობისა და ყველა საბუთების ნახვა შეიძლება სასამართლოს კანცელარიაში.
1130 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს ბოქაული ბეზკროვნი აცხადებს, რომ 1919 წლის თებერვლის 13, დილის 9 საათზე ამავე სასამართლოში მის მიერ დანიშნულია მეორე საჯარო ვაჭრობა კეკელა გიორგის ასულის ბეგიჯანოვის უძრავ კონებაზე. ქონება იყიდება ტფილისის ქალაქის გამგეობის დასაკმაყოფილებლად, რომლისაც ბეგიჯანოვას მართებს 662 მან. 39 კაპ. ქონება შეიცავს 3 სართულიან ქვის სახლის—პანასევიჩის ქ. № 17. ზევით სართულში 5 ოთახია სამზარეულოთი და მეზონინი ერთი ოთახით, შუათანაში 5 ოთახი და 2 სამზარეულო, ქვეით სართულში დუქანი, 2 ოთახი და სარდაფი, ეზო $41^1/_3$ ოთხ. კვ. საჟ. ეს მამული მთლათ დაგირავებულია ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაში 4361 მან. 39 კაპ. ვალში და დარჩენილი გადასახადი 631 მ. 20 კ. 1911 წ. სექტემბრის 11 ანგარიში ბარბარე სტეფანეს ასულის მატინიანცის მეორე გირავნობის მოწმობით 1000 მ. %-ით და ყადაღა აქვს დადებული გირავნობის მოწმობის № 997 მიცემამდე. გასაყიდი მეშვიდედი შეფასებულია 1000 მან., მაგრამ სამ. კან. წესდ. 1182 მუხ. ძალით ვაჭრობა შეიძლება დაიწყოს ნაკლებით. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ფასის $^1/_{10}$ საწინდრის წარმოდგენა. მამულის აწერილობის და ყველა საბუთების ნახვა შეიძლება სასამართლოს კანცელარიაში.
1131 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ყადაღა, რომელიც დადებული იყო ეკატერინე იაკობის ასულის კარაიაგინას უძრავ ქონებაზე და რომელიც შეტანილი იყო სოხ. ოლქ. 1914 წ. ყადაღათა კრებულში მე-87 №-ით, ამა წლის ოქტომბრის 5-დან გაუქმებულია ქ. სოხუმ. 1918 წ. ყადაღ. კრ. № 60. 1194 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ მიხეილის საადგილმამულო ბანკის მოწერილობის № 2025 თანახმად, ყადაღა, რომელიც ითვლებოდა ეკატერინე იაკობის ასულ კარაიაგინას უძრავ ქონებაზე და რომელიც აღნიშნული იყო ქ. სოხუმის 1911 წ. ყადაღათა კრებ. მე 93 №-ით გაუქმებულია. ქ. სოხ. 1918 წ. ყადაღათა კრებ. № 59. 1133 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ოქტომბრის 2 დადგენილებით დაამტკიცა შინაური ანდერძი სტეფანე პეტრეს ძე შელოვისა.
1124 1--1


სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.